სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ საბჭოს შერჩეული წევრებიდან ერთი საიას წარმომადგენელია

2013 წლის 25 იანვარს სახალხო დამცველის აპარატში ჩატარდა „იურიდიული დახმარების სამსახურის“ საბჭოს წევრთა შესარჩევი კონკურსი.

სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ საბჭოში სახალხო დამცველმა სამი წევრი უნდა წარადგინოს. ერთი მათგანი უნდა იყოს სახალხო დამცველის აპარატის

თანამშრომელი, ხოლო ორი მათგანი შეირჩევა ღია კონკურსის წესით ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მუშაობის, ან/და პედაგოგიური/სამეცნიერო საქმიანობის არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან „იურიდიული დახმარების სამსახურის“ საბჭოს ერთ-ერთ წევრად კონკურსის წესით შერჩეულია ეკატერინე ფოფხაძე.